საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია

სოციალური მუშაობის პროფესიული რეგულირების კონცეფცია

1. დოკუმენტის მიზანი
2. შესავალი
3. სოციალური მუშაობა საქართველოში
4. სოციალური მუშაობის რეგულირების საერთაშორისო პრაქტიკა
5. სოციალური მუშაობის რეგულირების შემოთავაზებული მოდელი
6. გამოყენებული წყაროები

1. დოკუმენტის მიზანი

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია წარმოადგინოს საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის ხედვა საქართველოში სოციალური მუშაობის პროფესიის რეგულირების შესახებ. მასში მოცემულია სავარაუდო სქემა, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია პროფესიის ბაზისური რეგულირება. ამავდროულად, დოკუმენტში ასახულია საქართველოში სოციალური მუშაობის განვითარების მოკლე ისტორია და პროფესიის რეგულირების საერთაშორისო მაგალითები.

2. შესავალი

პროფესიული რეგულირების მიზანია საზოგადოების ჯანმრთელობის, კეთილდღეობის და უსაფრთხოების დაცვა პროფესიული პრაქტიკის სტანდარტებისა და კვალიფიკაციის სტანდარტების დაცვის უზრუნველყოფით. ზოგადად, რეგულირებულია ის პროფესიები, რომლებიც ადამიანების ჯანმრთელობას, კეთილდღეობას და განვითარებას ეხება. საქართველოში რეგულირებად პროფესიებს მიეკუთვნებიან ექიმები, ადვოკატები და მასწავლებლები.

რეგულირება მრავალი ფორმით არსებობს, დაწყებული დამსაქმებლის მიერ დანერგილი სისტემით დასრულებული სახელმწიფო კანონმდებლობით დადგენილი მარეგულირებელი მექანიზმებით. რეგულირების სტრუქტურა და პროცესიც შესაძლოა განსხვავებული იყოს. თუმცაღა, მიზანი ყველა ტიპის რეგულირებას აქვს საერთო და მდგომარეობს საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფაში.

რეგულირების განსხვავებული მექანიზმები მოიცავს ისეთ ფორმებს, როგორიცაა, რეგისტრაცია, სერტიფიცირება, ლიცენზირება, აკრედიტაცია (იხ. ცხრილი 1). რეგულირება შეიძლება შეეხოს როგორც ინდივიდუალურ სპეციალისტს, ასევე სერვისს ან სერვისის მიმწოდებელ უწყებას. რეგულირების ზოგიერთი ფორმა სავალდებულოა, ზოგი კი შეიძლება იყოს ნებაყოფლობითი.

ცხრილი 1. რეგულირების ფორმები

მექანიზმი	მიმღები	გამცემი/ უფლებამოსილი ორგანო	მონაწილეობა
რეგისტრაცია	ინდივიდი/ ორგანიზაცია	უწყება/ასოციაცია	ნებაყოფლობითი/ სავალდებულო
სერტიფიცირება	ინდივიდი	უწყება/ასოციაცია	ნებაყოფლობითი/ სავალდებულო
ლიცენზირება	ინდივიდი/ ორგანიზაცია	სახელმწიფო საბჭო	სავალდებულო
აკრედიტაცია	უწყება/პროგრამა	უწყება/ასოციაცია	ნებაყოფლობითი/ სავალდებულო

სოციალური მუშაობის პრაქტიკის რეგულირება წარმოადგენს პროფესიული პრაქტიკის პროგრესულ მოდელს, რომელიც გვთავაზობს იმ ადამიანთა ფართო სპექტრის (სოციალური მუშაკების კლიენტების) დაცულობის მექანიზმს, რომელთაც სოციალური მუშაკები ემსახურებიან და აწოდებენ ისეთ სერვისებს, რომელთა არაკომპეტენტურმა ან არაეთიკურმა შესრულებამ შესაძლოა საფრთხე შეუქმნას ადამიანების კეთილდღეობას.

3. სოციალური მუშაობა საქართველოში

დარგის განვითარების ისტორია

საქართველოში სოციალური მუშაობის განვითარება 1999 წლიდან იწყება ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში, როდესაც საქართველომ მიიღო კანონი *შვილობილობის შესახებ*, რომლის აღსრულებისთვისაც საჭირო იყო სოციალური მუშაკის ინსტიტუტის დანერგვა. ამ მიზნით, ბრიტანული ორგანიზაცია „EveryChild"-ის მიერ დონორის მიერ დაფინანსებული საპილოტე პროექტის ფარგლებში მოხდა სოციალური მუშაკების შერჩევა, დასაქმება და გადამზადება ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის ხელშესაწყობად. პილოტირება წარმატებით განხორციელდა და ცხადყო დეინსტიტუციონალიზაციის პოლიტიკის მართებულობა.

სოციალური მუშაკების მასშტაბური გაფართოება 2007 წლიდან დაიწყო, როდესაც საერთაშორისო დონორების მხარდაჭერით მთავრობა ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის განხორციელებას შეუდგა. ბავშვთა ზრუნვის ერთეული 2009 წელს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში გადავიდა. გადასვლასთან ერთად გაიზარდა სოციალური მუშაკების ფუნქციები. გარდა ბავშვზე ზრუნვისა მათ დაევალათ ზრდასრულთა მეურვეობა/ მზრუნველობასთან, ოჯახურ დავებთან, სოციალურად დაუცველ ხანდაზმულთა იდენტიფიცირებასთან და მათი საჭიროებების შეფასებასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელება.

პარალელურად ფონდი ღია საზოგადოების სოციალური მუშაობის სქოლარშიპის პროგრამის ფარგლებში 2000-2011 წლებში სულ მცირე 20-მა ქართველმა მოიპოვა მაგისტრის ხარისხი სოციალურ მუშაობაში აშშ-ს წამყვან უნივერსიტეტებში, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი სამშობლოში დაბრუნების შემდეგ აქტიურად ჩაება დარგის განვითარებაში.

ევროკავშირის ტემპუს ტასისის *სოციალური სამუშაოს განათლების დანერგვა საქართველოში* პროექტისა და ღია საზოგადოება საქართველოს *უმაღლესი განათლების მხარდაჭერის* პროგრამის მხარდაჭერით 2006 წელს დაიწყო სოციალური სამუშაოს აკადემიზაციის პროცესი. ამავე წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნა ბაკალავრიატი სოციალურ

სამუშაოში, ხოლო ილიას სახელობის უნივერსიტეტში მაგისტრატურა. 2008 წელს სამაგისტრო სწავლებისათვის სტუდენტების მიღება დაიწყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმაც. მოგვიანებით კი ორივე უნივერსიტეტში მათ დაემატა სადოქტორო საფეხური. ყოველწლიურად აღნიშნული უნივერსიტეტების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები ერთად აღებული დაახლოებით 40 სოციალურ მუშაკს უშვებს.

აკადემიური სწავლების დაარსებამ შექმნა პროფესიის აკადემიურ დონეზე დაუფლების შესაძლებლობა. თუმცა ახალგაზრდა კურსდამთავრებულების სწავლის დასრულებამდე პრაქტიკას ახორციელებდა 70–მდე სოციალური მუშაკი, უმრავლესობა ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში. შესაბამისად, გამოიკვეთა სოციალურ სამუშაოში კვალიფიკაციის კურსების დაარსების აუცილებლობა, რაც უზრუნველყოფდა პრაქტიკოსი სოციალური მუშაკების მომზადებას. ამ მიზნით 2006-2011 წლებში ტემპუს ტასისის *სოციალური სამუშაოს განათლების დანერგვა საქართველოში* პროექტის ფარგლებში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე ფუნქციონირებდა სერტიფიცირების ერთწლიანი კურსი სოციალურ სამუშაოში, რომლის ფარგლებშიც ასზე მეტმა პრაქტიკოსმა სოციალურმა მუშაკმა აიმაღლა კვალიფიკაცია.

ამ პროცესს მოჰყვა სოციალური მუშაობის პროფესიად აღიარებისა და მისი რეგულირებად პროფესიათა ნუსხაში განთავსება 2004 წლის *უმაღლესი განათლების შესახებ* კანონში, თუმცა 2009 წლის ჩასწორების საფუძველზე პროფესია რეგულირებად პროფესიათა ჩამონათვალიდან ამოღებულ იქნა. აღნიშნული ცვლილება სახელმწიფოს მხრიდან იყო ინიცირებული, რაც ემყარებოდა მოსაზრებას, რომ პროფესიის განვითარების ადრეულ ეტაპზე რეგულირების მექანიზმის შემოღება ბარიერს შეუქმნიდა პროფესიის განვითარებას.

პარალელურად ვითარდება პროფესია სხვადასხვა სფეროებში. მისი როლი გამოკვეთა 2006 წლის მაისში მიღებულმა *ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ* კანონმა და 2006 წლის აპრილში მიღებულმა *ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ* კანონმა, ხოლო 2010 წელს ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დანერგვამ სოციალურ მუშაკს საკმაოდ საპასუხისმგებლო ფუნქციები დააკისრა ძალადობასთან ბრძოლაში.

სოციალური მუშაობის დამკვიდრებას და განვითარებას უკავშირდება ასევე წარმატებული მიმდინარე რეფორმა მართლმსაჯულების სფეროში, რომლის ფარგლებშიც სოციალური მუშაკების მასშტაბური დასაქმება მოხდა სასჯელაღსრულების, პრობაციის და დანაშაულის პრევენციის სისტემებში. სოციალური მუშაკის ინსტიტუტის დანერგვა სამართლიანად ითვლება მართლმსაჯულების სისტემის ჰუმანიზაციის წინაპირობად.

სოციალური მუშაობა ვითარდება ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროშიც. ფსიქიკური და სოციალური რეაბილიტაციის ცენტრებსა და ფსიქო–ნევროლოგიურ დისპანსერებში, ასევე სტაციონარებში გაჩნდნენ სოციალური მუშაკები. ამასთანავე, მავნე ნივთიერებებზე დამოკიდებულების პრობლემის აქტუალობას მოჰყვა სფეროში სოციალურ მუშაკთა არსებობის აუცილებლობა. სამწუხაროდ, ამ სფეროში დონორთა მოთხოვნის შედეგად სოციალური მუშაკები დაერქვათ თანაგანმანათლებლებს/ მომხმარებლებს (საველე მუშაკებს) რომელთაც არ მიუღიათ სისტემური გადამზადება. მიუხედავად იმისა, რომ ისინი თავდადებით ახორციელებენ დაკისრებულ ფუნქციას, იკვეთება პროფესიული როლის გააზრების ხელშეწყობისა და ტიტულის დაცვის საჭიროება.

სოციალური მუშაობა ნელ–ნელა ფეხს იკიდებს ჯანდაცვის სფეროშიც. ვითარდება სერვისი ტერმინალურად დაავადებულთათვის. ასევე, ტუბერკულიოზის ცენტრში იგეგმება სოციალურ მუშაკთა შტატის დაარსება. სახელმწიფოს მიერ გაეროს შშმპ კონვენციის რატიფიცირებით გამოწვეულმა მზაობამ შეზღუდული შესაძლებლობების სფეროში სოციალური მოდელის დამკვიდრებისა და მხარდაჭერის ინსტიტუტის დანერგვამ კიდევ უფრო გაზარდა სოციალური მუშაკის პასუხისმგებლობები და მოვალეობები შშმ პირებთან მუშაობის მიმართულებით. ამასთან, საპილოტე პროექტის ფარგლებში საწყისი ნაბიჯები იდგმება პირველადი ჯანდაცვის რგოლისა და სოციალურ მუშაობის თანამშრომლობის გაძლიერებისკენ.

ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში სოციალური მუშაობა ახალგაზრდა დარგია, იგი არაერთი წარმატებული რეფორმის განუყოფელი ნაწილი და, შეიძლება ითქვას, ერთ-ერთი წამყვანი ბერკეტია. სწორედ სოციალურ მუშაკთა მიერ, უპირველეს ყოვლისა, განხორციელდა ქვეყანაში ბავშვთა კეთილდღეობის, იგივე დეინსტიტუციონალიზაციის, რეფორმა, რომლის წყალობითაც საქართველო მთელ რეგიონში მისაბაძ მაგალითად იქცა.

დღესდღეობით, ქვეყანაში 800-ზე მეტი ადამიანია დასაქმებული სოციალურ მუშაკად, აქედან დაახლოებით 500 დასაქმებულია სახელმწიფო სექტორის მიერ, ხოლო 300 - არასამთავრობო სექტორის მიერ. სოციალურ მუშაკთა წამყვან დამსაქმებელს სახელმწიფო სოციალური მომსახურების სააგენტო წარმოადგენს, რომელსაც ამჟამად ქვეყნის მასშტაბით 268 სოციალური მუშაკი ჰყავს, მას შემდეგ მოდის პენიტენციური სისტემა (112), პრობაციის ეროვნული სააგენტო (40) და დანაშაულის პრევენციის ცენტრი (20). სოციალური მუშაკები ჰყავს, ასევე, ადამიანთა ვაჭრობისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვის სახელმწიფო ფონდს, სოციალური საცხოვრისის სერვისსა და აღსრულების ეროვნულ ბიუროს. უკანასკნელ წლებში სოციალური მუშაკები გამრავლდნენ ფსიქიკური ჯანდაცვის სერვისთა მიმწოდებელ ორგანიზაციებში. მაგალითისათვის, ფსიქიკური ჯანდაცვის 19 ორგანიზაციაში ქვეყნის მასშტაბით 26 ადამიანია დასაქმებული სოციალური მუშაკის თანამდებობაზე[1].

სახელმწიფო სოციალური მომსახურების სააგენტოს მეურვეობა მზრუნველობის დეპარტამენტის სოციალური მუშაკები უაღრესად საპასუხისმგებლო 27 მიმართულებით მუშაობენ. მათ შორისაა სოციალურად დაუცველი ბავშვისა და ოჯახის იდენტიფიცირება და მათი საჭიროებების შეფასება; სოციალურად დაუცველი ხანდაზმულების იდენტიფიცირება და მათი საჭიროებების შეფასება; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების იდენტიფიცირება და მათი საჭიროებების შეფასება; მიზნობრივი ჯგუფების სოციალური მომსახურებებით უზრუნველყოფის მიზნით შიდაუწყებრივი და უწყებათაშორისი ღონისძიებების განხორციელება; 24 საათიანი ზრუნვის სისტემაში ბავშვთა შედინების პრევენციასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელება; 24 საათიანი ზრუნვის სისტემიდან ბიოლოგიურ ოჯახში ბავშვის რეინტეგრაციასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელება; ბავშვის მინდობით აღზრდასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელება; ბავშვის შვილად აყვანასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელება; მეურვეობა/მზრუნველობასთან დაკავშირებული ღონისძიებების

[1] შეყრილაძე, ი. (2015); ფსიქიკური ჯანმრთელობის პროფესიული კადრი - ადგილობრივი ტენდენციები, კვლევის ანგარიში; საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია

განხორციელება; ბავშვის ძალადობისა და უგულვებელყოფისგან დაცვის ღონისძიებების განხორციელება.[2]

მიუხედავად სოციალურ მუშაკებზე სახელმწიფოს მიერ დაკისრებული ამგვარი მრავალმხრივი პასუხისმგებლობისა, რომლებიც პირდაპირ კავშირშია ადამიანების კეთილდღეობის, ჯანდაცვისა და უსაფრთხოების მაჩვენებლებთან, დღესდღეობით პროფესია არ რეგულირდება და სოციალურ მუშაკად შეუძლია მუშაობა უმაღლესი განათლების მქონე ნებისმიერ პირს სოციალური მუშაობის განათლებისა და გამოცდილების გარეშე (პრაქტიკოსი სოციალური მუშაკის თანამდებობაზე დასაქმებული ადამიანების დაახლოებით 30% ფლობს განათლებას სოციალურ მუშაობაში). აღნიშნული გარემოება კი კომპეტენტური მომსახურების გაწევის, ბენეფიციართა დაცულობის და პროფესიის დისკრედიტირების სერიოზულ რისკებს ქმნის. სწორედ ამიტომ, აშკარა და ცალსახაა სოციალური მუშაობის პროფესიის ბაზისური რეგულირების სისტემის დანერგვის საჭიროება.

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია არასამთავრობო, აპოლიტიკური და არასამეწარმეო ორგანიზაციაა. ასოციაცია 2004 წელს დააარსეს პირველმა სოციალურმა მუშაკებმა საქართველოში, რომელთაც სოციალურ მუშაობაში მაგისტრის ხარისხი მოიპოვეს აშშ-ს წამყვანი უნივერსიტეტებიდან. ასოციაციას ორმაგი მისია აქვს: (1) სოციალური მუშაობის პროფესიის განვითარება საქართველოში და (2) ინდივიდების, ოჯახებისა და თემების კეთილდღეობის ხელშეწყობა.

ბოლო ათწლეულის განმავლობაში, ასოციაცია მხარს უჭერს ორ უმთავრეს სახელმწიფო უნივერსიტეტს საქართველოში სოციალური მუშაობის აკადემიური პროგრამების განვითარებაში; ასევე, საქართველოს მთავრობას სოციალური მუშაკების ცოდნისა და უნარ–ჩვევების გაღრმავებაში; და, ასევე, პოლიტიკის, მომსახურებებისა და სისტემების განვითარებასა და დახვეწაში სოციალური და ბავშვთა კეთილდღეობის, სამართლის, განათლებისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროებში.

[2] http://ssa.gov.ge/?lang_id=GEO&sec_id=801

მოცემულ მომენტში სოციალური მუშაობის ბაზისური რეგულირების სისტემის დანერგვა, რომელიც გულისხმობს პროფესიული ტიტულის დაცვას, ასოციაციის პრიორიტეტულ ამოცანას წარმოადგენს. წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ასოციაციის კონცეფციას სოციალური მუშაობის რეგულირების თაობაზე.

4. სოციალური მუშაობის რეგულირების საერთაშორისო პრაქტიკა

სოციალური მუშაობის რეგულირების საერთაშორისო პრაქტიკა განსხვავებულია. ქვეყნებში, სადაც პროფესია რეგულირებადია, შეიძლება ითქვას, არსებობს რეგულირების სამგვარი მოდელი. რეგულირება ზოგ ქვეყანაში გულისხმობს რეგისტრაციას, ზოგ ქვეყნაში კი სერტიფიცირებას ან ლიცენზირებას. რეგულირების ყველაზე ბაზისური მოდელი არის აკადემიურ ხარისხს მიბმული რეგისტრაცია. აღნიშნული მოდელით პირის მიერ სოციალური მუშაობის აკადემიური ხარისხის მოპოვება ავტომატურად გულისხმობს მის რეგისტრირებას სოციალურ მუშაკად შესაბამის რეესტრში. ამგვარ სისტემაში რეგისტრირებაზე პასუხისმგებელი უწყება, ჩვეულებრივ, არის აკადემიური სტრუქტურა/განათლების სამინისტრო.

მეორე, უფრო განვითარებული მოდელია, აკადემიურ ხარისხს დამატებული რეგისტრაცია. ამ შემთხვევაში ხარისხის მოპოვება სოციალურ მუშაობაში ავტომატურად არ გულისხმობს რეგისტრირებას და საჭიროა გარკვეული ნაბიჯების გადადგმა სოციალურ მუშაკად დასარეგისტრირებელად. ასეთ შემთხვევაში, რეგისტრაციაზე პასუხისმგებელი უწყება შეიძება იყოს პროფესიული ასოციაცია ან რომელიმე სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანო. ამასთან, არ არის აუცილებელი, რომ ამგვარი რეგისტრაცია იყოს სავალდებულო.

რეგულირების კიდევ უფრო განვითარებული მოდელია ლიცენზირება/ სერტიფიცირება, რომელიც კანონით დადგენილ მინიმალურ აკადემიურ ხარისხთან ერთად გულისხმობს პირის მიერ გარკვეული გამოცდილებისა და კომპეტენციების დაგროვებასა და დემონსტრირებას იმისათვის, რომ მას მიენიჭოს ისეთი სერვისების მიწოდების უფლებამოსილება, რომლებიც მაღალკომპეტენტურ უნარებსა და ცოდნას გულისხმობს. სადემონსტრაციოდ ქვემოთ განხილულია რამდენიმე ევროპული სახელმწიფოს, ორი განვითარებადი ქვეყნის, აშშ-ს, კანადის და ავსტრალიის მაგალითები.

ამერიკის შეერთებული შტატები

აშშ-ში პრაქტიკოსი სოციალური მუშაობა რეგულირდება შტატის დონეზე და ყოველ შტატს აქვს თავისი მარეგულირებელი ორგანო. მაგისტრის ხარისხის მქონე

სოციალურ მუშაკს შეუძლია მოიპოვოს ლიცენზია/სერტიფიკატი, რათა გახდეს კლინიკური სოციალური მუშაკი (LCSW)[3] და აწარმოოს უშუალო კლინიკური პრაქტიკა. ზოგ შტატს აქვს ორ დონიანი ლიცენზირება. ტიპიურ შემთხვევაში, ლიცენზიის მოპოვება გულისხმობს ყველა შემდგომი კრიტერიუმის დაკმაყოფილებას:

- მინიმუმ მაგისტრის ხარისხის ფლობა სოციალურ მუშაობაში აკრედიტირებული უნივერსიტეტიდან;
- მაგისტრატურის შემდგომი კვალიფიკაციის ამაღლების მოთხოვნების დაკმაყოფილება (ტრენინგები განსაზღვრულ თემებზე განსაზღვრული მინიმალური ხანგრძლივობით);
- მაგისტრატურის შემდგომი ხანგრძლივი (მინიმუმ 3000-3500 საათი, რაც დაახლოებით 2 წლის სტაჟს უდრის სრულ განაკვეთზე) სუპერვიზირებული სამუშაო გამოცდილება კლინიკურ სფეროში (რაც გულისხმობს შეფასება-დიაგნოსტირებას, ზრუნვის დაგეგმვას, ფსიქოთერაპიას, შემთხვევის მართვას), და
- შესაბამისი საბჭოს მიერ დაწესებული გამოცდების წარმატებით ჩაბარება.

ლიცენზიის მოპოვების შემდეგ კლინიკური სოციალური მუშაკი აღარ საჭიროებს კლინიკურ სუპერვიზიას და უფლებამოსილია, აწარმოოს დამოუკიდებელი კერძო პრაქტიკა. თუმცა, ლიცენზია სავალდებულოა და მის გარეშე სპეციალისტს არ აქვს კლინიკური პრაქტიკის წარმოების უფლება არც სახელმწიფო და არც კერძო სექტორში. ამასთან, ლიცენზიის მოპოვების შემდეგ სოციალურ მუშაკს აღარ უწევს გამოცდის ჩაბარება (თუ არ იცვლის შტატს), თუმცა ლიცენზია საჭიროებს განახლებას (2 წელიწადში ერთხელ), რაც პროფესიული დარღვევების არარსებობასთან ერთად გულისხმობს უწყვეტი განათლების მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

ასევე არსებობს სოციალურ მუშაკთა ეროვნული ასოციაციის (National Association of Social Workers) ნებაყოფლობითი სერთიფიკატი, რომელიც არ უტოლდება და ვერ ანაცვლებს შტატის ლიცენზიას. იგი ადამიანს არ ანიჭებს იურიდულ უფლებამოსილებას აწარმოოს პრაქტიკა, არამედ წარმოადგენს პროფესიული მიღწევის დამატებით მტკიცებულებას.

[3] ზოგიერთ შტატს აქვს ლიცენზირება ბაკალავრის ხარისხის სოციალური მუშაკებისათვისაც, თუმცა აღნიშნული ლიცენზია არ უტოლდება კლინიკური სოციალური მუშაკის ლიცენზიას. LCSW ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმაა, სხვადასხვა შტატში სხვადასხვა ვარიანტებია. http://www.socialworklicensure.org/articles/social-work-license-requirements.html#states

კანადა

კანადაში სოციალურ მუშაკად მუშაობის დასაწყებად აუცილებელია მინიმუმ ოთხწლიანი ბაკალავრის ხარისხი სოციალურ მუშაობაში. ჩვეულებრივ, მაგისტრის ხარისხია აუცილებელი ფსიქოთერაპიული მკურნალობის უზრუნველსაყოფად. პროფესიის რეგულირება პროვინციის დონეზე ხდება. სოციალური მუშაკები რეგისტრაციას გადიან შესაბამისი პროვინციის/ტერიტორიის მარეგულირებელ ორგანოსთან. ზოგიერთი პროვინცია ითხოვს სერტიფიცირებას.

მაგალითად, ბრიტანულ კოლუმბიაში ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში მდიდარი გამოცდილების მქონე სოციალურ მუშაკს შეუძლია მოიპოვის ლიცენზია და გახდეს რეგისტრირებული კლინიკური სოციალური მუშაკი (RCSW). რეგისტრირებული კლინიკური სოციალური მუშაკის ლიცენზიის მოპოვების პროცესი ბრიტანულ კოლუმბიაში მსგავსია აშშ-ს გამოცდილებისა და გულისხმობს შემდეგი კრიტერიუმების დაკმაყოფილებას: (1) მაგისტრის ხარისხი სოციალურ მუშაობაში აკრედიტირებული უნივერსიტეტიდან; (2) დადასტურებული ხანგრძლივი პრაქტიკული გამოცდილება კონსულტირების/ფსიქოთერაპიის, ადამიანური განვითარების, ფსიქიკური აშლილობების სფეროში; (3) 3000 საათი მაგისტრატურის შემდგომი სუპერვიზირებული კლინიკური მუშაობის გამოცდილება; (4) ჩრდილოეთ ამერიკის კლინიკური საბჭოს გამოცდის წარმატებით ჩაბარება[4].

ავსტრალია

ავსტრალიაში სოციალურ მუშაკად მუშაობის დასაწყებად აუცილებელია მინიმუმ ოთხწლიანი ბაკალავრის ხარისხი. ავსტრალიაში არ არის სავალდებულო სოციალურ მუშაკთა რეგისტრაცია, მაგრამ, სტატისტიკურად, სოციალურ მუშაკთა მესამედი არის რეგისტრირებული. რეგისტრაცია/აკრედიტაცია სავალდებულოა „აკრედიტირებული ფსიქიკური ჯანმრთელობის სოციალური მუშაკისთვის“, რომელიც წარმოადგენს ავსტრალიის სახელმწიფო დაზღვევის სერვისის მიმწოდებელს. ამ შემთხვევაში რეგისტრაციის უწყება არის ავსტრალიის სოციალურ მუშაკთა ასოციაცია.

[4] http://willowtreecounselling.ca/registered-clinical-social-worker/

რეგისტრაციისთვის/აკრედიტაციისთვის სავალდებულოა: (1) მინიმუმ ბაკალავრის ხარისხი; (2) ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში სუპერვიზირებული სულ მცირე ორწლიანი (სრული შტატის ექვივალენტი) მუშაობის გამოცდილება; (3) ავსტრალიის სოციალურ მუშაკთა ასოციაციის წევრობა; (4) კვალიფიკაციის ამაღლების მოთხოვნების (გავლილი ჰქონდეს სათანადო ტრენინგები - მინიმუმ 50 საათი) დაკმაყოფილება; (5) კლინიკური სოციალური მუშაობის პრაქტიკის კომპეტენციების დემონსტრირება (მინიმუმ ორი შემთხვევის ანალიზით); (6) დამქირავებლის ან სუპერვაიზორის სარეკომენდაციო წერილის წარდგენა.

ისლანდია

ისლანდიაში სოციალური მუშაობა რეგულირებადი პროფესიაა და პროფესიის ტიტული დაცულია. იგი რეგულირდება რამდენიმე კანონით: სოციალური მუშაობის აქტით (Social Work Act, No 95/1990), ჯანდაცვის სამედიცინო დირექტორის აქტით (Medical Director of Health Act, No 41/2007) და ჯანდაცვის სერვისის აქტით (Health Service Act, No 40/2007)[5]. პროფესიის მარეგულირებელი უწყება არის ჯანდაცვის დირექტორატი, რომელიც არეგულირებს სხვა ჯანდაცვის პროფესიებსაც. პრაქტიკის დაწყებამდე სოციალური მუშაკი ვალდებულია დარეგისტრირდეს შესაბამის უწყებასთან ერთჯერადად. იმისათვის, რომ იმუშაოს პრაქტიკოს სოციალურ მუშაკად, იგი უნდა ფლობდეს ლიცენზიას, რომელიც პრაქტიკის უფლებამოსილებას ანიჭებს. ლიცენზიას იძლევა ჯანდაცვის დირექტორატი. ასევე, სახეზეა უწყვეტი განათლების მოთხოვნები.

სლოვენია

სლოვენიაში სოციალური მუშაობა რეგულირდება სოციალური უსაფრთხოების აქტით (Social Security Act) და ექცევა ერთი სახელმწიფო უწყების - შრომის, ოჯახისა და სოციალურ საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარების ქვეშ. პროფესიული ტიტული დაცულია, თუმცა არ არსებობს ლიცენზიის მოთხოვნა პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებისათვის. რეგისტრირება ხდება მხოლოდ ერთხელ - სოციალური

[5] Hussein, S. (2011); Social Work Qualifications and Regulation in European Economic Area (EEA)

მუშაობის ფაკულტეტის დამთავრებისას ანუ აკადემიური ხარისხის მოპოვებისას და ძალაშია უვადოდ[6].

მარეგულირებელი ორგანო სოციალურ მუშაკებს უწყვეტი პროფესიული განათლების მოთხოვნას უყენებს. ტრენინგებს სოციალური მუშაკებისათვის ახორციელებს სლოვენიის სოციალური პალატა. სოციალური მუშაობის საუნივერსიტეტო პროგრამათა სტუდენტებს ევალებათ 120 სთ პრაქტიკული საქმიანობის განხორციელება თითოეულ აკადემიურ წელიწადში. დამქირავებელი კი სამუშაოს მაძიებელს უყენებს მინიმუმ 1 წლიანი პრაქტიკული საქმიანობის გამოცდილების მოთხოვნას. ქვეყანაში დაწესებულია მომსახურების სტანდარტი, რომელთან შესაბამისობაშიც უნდა აღსრულდეს პროფესიული საქმიანობა. სოციალურ მუშაკთა საქმიანობას სუპერვიზიას უწევს *სოციალური ინსპექცია* რეგულარული და სპეციალური შემოწმების საშუალებით.

რუმინეთი

რუმინეთში სოციალური მუშაობის პროფესიის სამართლებრივი რეგულირების მექანიზმია *კანონი სოციალური მუშაკის* (Statute of Social Worker) შესახებ. სოციალური მუშაობა რეგულირებადი პროფესიაა. სოციალური მუშაკი ვალდებულია დარეგისტრირდეს მანამ, სანამ პრაქტიკას დაიწყებდეს და საჭიროებს ლიცენზიას/სერტიფიკატს. კანონი წარმოადგეს პროფესიის ოთხ დონიან რეგულირების სისტემას: (1) დროებით ლიცენზიას ახალ კურსდამთავრებულთათვის (დებუტანტის); (2) 1-დან 3 წლამდე პრაქტიკის მქონე სოციალური მუშაკის ლიცენზია (პრაქტიკანტის); (3) 3-დან 5 წლამდე გამოცდილების მქონე სოციალური მუშაკის ლიცენზია (სპეციალისტის); და (4) 5 და მეტი წლის პრაქტიკის მქონე სოციალური მუშაკის ლიცენზია (წამყვანი/უფროსი სოციალური მუშაკის)[7].

ინდონეზია

ინდონეზიამ 2009 წელს მიიღო სოციალური კეთილდღეობის კანონი, რომლის მიხედვითაც დადგენილია სოციალური მუშაკების სერტიფიცირებისა და ლიცენზირების მოთხოვნები და განსაზღვრულია სოციალური კეთილდღეობის პერსონალის განსხვავებული ჯგუფები, როგორიცაა, სოციალური კეთილდღეობის

[6] Hussein, S. (2011); Social Work Qualifications and Regulation in European Economic Area (EEA)
[7] Hussein, S. (2011); Social Work Qualifications and Regulation in European Economic Area (EEA)

ოფიცრები, პროფესიონალი სოციალური მუშაკები, სოციალური განმანათლებლები და მოხალისეები[8]. მას შემდეგ სამი დამატებითი რეგულაცია შეიქმნა სახელმწიფოს მიერ რათა კიდევ უფრო ნათლად განსაზღვრულიყო პროფესიონალი სოციალური მუშაკების სერტიფიცირების მოთხოვნები.

შედეგად, ინდონეზიის პროფესიონალ სოციალურ მუშაკთა ასოციაციამ სოციალური დაცვის სამინისტროს, ინდონეზიის სოციალურ მუშაკთა განათლების ასოციაციასა და სოციალური კეთილდღეობის ეროვნულ საბჭოსთან ერთად დააფუძნა სოციალური მუშაკების სერტიფიცირების უწყება, განავითარა ეროვნული კურიკულუმი, ქცევის კოდექსი და შეიმუშავა სახელმწიფო გამოცდა. დღესდღეობით ქვეყანაში სოციალური მუშაობის 35 საბაკალავრო, 3 სამაგისტრო და 2 სადოქტორო პროგრამაა საუნივერსიტეტო დონეზე და 6400-ზე მეტი სოციალური მუშაკია დასაქმებული სახელმწიფო სტრუქტურაში.

ნამიბია

ნამიბიაში 2004 წელს მიღებული კანონის - სოციალური მუშაობის და ფსიქოლოგიის აქტი - მიხედვით დადგენილია პროფესიული საბჭო სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგებისთვის და განსაზღვრულია აღნიშნული საბჭოს ფუნქციები, ვალდებულებები და უფლებამოსილებანი. ნამიბიის სოციალური მუშაობისა და ფსიქოლოგიის საბჭო არეგულირებს სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების რეგისტრაციას, განსაზღვრავს კვალიფიკაციის და განათლების მოთხოვნებს პრაქტიკისათვის და კრძალავს რეგისტრაციის გარეშე პრაქტიკის წარმოებას[9].

[8] Heubner, G. (2016) Review of Legislation and Policies that Support the Social Service Workforce in Low and Middle Income Countries; Global Social Service Workforce Alliance.
[9] Heubner, G. (2016) Review of Legislation and Policies that Support the Social Service Workforce in Low and Middle Income Countries; Global Social Service Workforce Alliance.

5. სოციალური მუშაობის რეგულირების შემოთავაზებული მოდელი

საქართველოში სოციალური მუშაობის განვითარების მოცემულ ეტაპზე პროფესიის ბაზისური რეგულირების სისტემის დანერგვას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს დარგის განვითარებისათვის. ბაზისურ რეგულირებაში იგულისხმება ბენეფიციარის ინტერესებისა და „არ ავნო“ პრინციპის დაცვის მიზნით სოციალური მუშაკის ტიტულის დაცვის კანონმდებლობით გამყარებული პრაქტიკის დანერგვა.

პროფესიის რეგულირების წინამდებარე კონცეფცია შედგება შემდეგი საკითხებისაგან:

- პროფესიის დეფინიცია
- აკადემიური ხარისხის მინიმალური მოთხოვნა სოციალურ მუშაობაში
- პრაქტიკის შემოთავაზებული სტანდარტი
- შემოთავაზებული საკანონმდებლო ცვლილებები
- პროფესიული რეგულირების საკითხში ჩართული უწყებები
- პროფესიის რეგულირების სქემა და დროითი ჩარჩო

პროფესიის დეფინიცია

სოციალური მუშაობა, როგორც პროფესია, ქართული კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული. შესაბამისად, ასოციაცია ემხრობა სოციალური მუშაობის საერთაშორისო ფედერაციის (IFSW) და სოციალური მუშაობის სკოლების საერთაშორისო ასოციაციის (IASSW) მიერ ერთობლივად შემუშავებული პროფესიის დეფინიციის დანერგვას. აღნიშნული დეფინიციის თანახმად, სოციალური მუშაობა არის პრაქტიკაზე დაფუძნებული პროფესია და აკადემიური დისციპლინა, რომელიც მიზნად ისახავს სოციალური განვითარების, ცვლილების, გაერთიანებისა და ადამიანთა გათავისუფლებისა და გაძლიერების ხელშეწყობას. სოციალური მუშაობის წამყვანი პრინციპებია სოციალური სამართლიანობა, ადამიანის უფლებები, კოლექტიური პასუხისმგებლობა და განსხვავებულობის პატივისცემა. სოციალური მუშაობის, სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების თეორიებსა და ადგილობრივი ცოდნაზე დაყრდნობით პროფესია მოიაზრებს ადამიანებსა და

სტრუქტურებთან ურთიერთობას ყოფითი გამოწვევების დაძლევისა და მათი კეთილდღეობის ზრდის მიზნით.[10]

აკადემიური ხარისხის მინიმალური მოთხოვნა სოციალურ მუშაობაში

პრაქტიკოსი სოციალური მუშაკის თანამდებობაზე დასასაქმებელად ინდივიდი უნდა ფლობდეს ქვემოთ მოცემულიდან სულ მცირე ერთ-ერთს:

- ბაკალავრის ხარისხი სოციალურ მუშაობაში აკრედიტირებული პროგრამიდან
- სერთიფიკატი სოციალური მუშაობის Tempus/TACIS პროგრამიდან
- მაგისტრის ხარისხი სოციალურ მუშაობაში აკრედიტირებული პროგრამიდან

აღნიშნულიდან ერთ-ერთი ხარისხის ფლობის შემთხვევაში ინდივიდი უფლებამოსილია დასაქმდეს პრაქტიკოსი სოციალური მუშაკის თანამდებობაზე. (აღნიშნული გარემოება გამყარებული უნდა იქნეს შესაბამისი კანონის/ კანონქვემდებარე აქტის მიერ სოციალური მუშაობის შესახებ, რაც ამ ეტაპზე არ არსებობს).

დამატებით, ძალაში იქნება <u>გარდამავალი დებულება</u> გარდამავალი პერიოდის შესახებ, რომლის განმავლობაშიც გარკვეული სპეციალობის წარმომადგენლებს ენიჭებათ უფლება შესაბამისი მოთხოვნების დაკმაყოფილების საფუძველზე მოიპოვონ სოციალური მუშაკის თანამდებობაზე დასაქმების უფლებამოსილება უვადოდ (იხ. ქვემოთ).

პრაქტიკის შემოთავაზებული სტანდარტი

პრაქტიკოსი სოციალური მუშაკის პოზიციაზე დასაქმება დამატებითი მოთხოვნების დაკმაყოფილების გარეშე დაშვებული იქნება მხოლოდ ინდივიდებისათვის შესაბამისი განათლებით სოციალურ მუშაობაში (ბაკალავრის ხარისხი, Tempus სერტიფიკატი, მაგისტრის ხარისხი).

ამასთან, ძალაში შევა <u>გარდამავალი დებულება</u>, რომლის თანახმადაც გარდამავალ პერიოდში (2020-???? წწ-ში), პრაქტიკოსი სოციალური მუშაკის თანამდებობაზე

[10] http://ifsw.org/policies/definition-of-social-work/

დასაქმების უფლებამოსილება მიენიჭებათ შემდეგ პირებს <u>სოციალური მუშაობის საკვალიფიკაციო გამოცდის</u> ჩაბარების საფუძველზე:

- 1999 წლიდან დღემდე სოციალური მუშაკის პოსტზე დასაქმებული პირები, რომელთაც არ აქვთ ფორმალური განათლება სოციალურ მუშაობაში;
- უმაღლესი განათლების მქონე პირები დამხმარე პროფესიებიდან (ფსიქოლოგები, ექიმები, ა.შ.);

პირები, რომლებიც წარმატებით ჩააბარებენ გამოცდას, მოიპოვებენ საკვალიფიკაციო სერტიფიკატს და შესაბამის უფლებამოსილებას დასაქმდნენ სოციალური მუშაკის პოსტზე მომავალში (უვადოდ).

საკვალიფიკაციო გამოცდა იმოქმედებს გარდამავალი პერიოდის განმავლობაში. ამ ეტაპზე არამიზანშეწონილად მიგვაჩნია გარდამავალი პერიოდის ხანგრძლივობის დაკონკრეტება. გარდამავალი პერიოდის ხანგრძლივობა მომავალში უნდა განისაზღვროს სახელმწიფოს მიერ შრომით ბაზარზე სოციალური მუშაკების მოთხოვნისა და მიწოდების მაჩვენებელთა საფუძველზე.

გარდამავალი პერიოდის დასასრულის დაზუსტების შემთხვევაში, პერიოდის დასრულების შემდეგ შეწყდება საკვალიფიკაციო გამოცდის შეთავაზება და სოციალური მუშაობის ფორმალური განათლების არმქონე ინდივიდებს აღარ ექნებათ პრაქტიკოსი სოციალური მუშაკის პოსტზე დასაქმების უფლება.

საქართველოში სოციალური მუშაობის პროფესიის საკანონმდებლო რეგულირება

<u>არსებული საკანონმდებლო გარემოს მიმოხილვა</u>

საქართველოში სოციალური მუშაობის პროფესია დღეს რეგულირებული არ არის. არ არსებობს უნიფიცირებული საკანონმდებლო აქტი, რომელიც განსაზღვრავს ამ პროფესიის რეგულირებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან ასპექტს. გარდა ამისა, სოციალური მუშაკის თაობაზე კანონმდებლობაში არსებული ჩანაწერები ძალზედ მწირია, სპონტანურ ხასიათს ატარებს და გაბნეულია სხვადასხვა საკანონმდებლო აქტებში. ამასთან, ზემოაღნიშნული ჩანაწერი ნაკლებად უკავშირდება სოციალური მუშაობის, როგორც პროფესიის, რეგულირებას, არამედ წარმოაჩენს სოციალური მუშაკის როლს და პასუხისმგებლობას ამა თუ იმ სფეროში.

საქართველოს კანონმდებლობაში, სოციალური მუშაკის თაობაზე ჩანაწერი გვხვდება რამდენიმე ადგილას. აღნიშნული საკანონმდებლო აქტებია:

- კანონი სოციალური დახმარებების შესახებ
- კანონი შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ
- კანონი ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ
- კანონი ფსიქიატრიული დახმარების შესახებ
- პატიმრობის კოდექსი

სოციალური დახმარების შესახებ კანონის მე–4 მუხლი გვთავაზობს ტერმინთა განმარტებას, სადაც სოციალური მუშაკი განმარტებულია, როგორც მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს სპეციალური უფლებამოსილების მქონე პირი[11]; ამავე კანონში მეორედ გვხვდება ჩანაწერი სოციალური მუშაკის შესახებ, რომელშიც მითითებულია, რომ შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სოციალური მუშაკის მიერ ხდება მიუსაფარი ბავშვების – ქუჩაში მცხოვრები არასრულწლოვანი ან/და ქუჩაში მომუშავე არასრულწლოვანი, იდენტიფიცირება ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების შესაბამისად[12].

შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ კანონის მე–3 მუხლი (ტერმინთა განმარტება) გვთავაზობს სოციალური მუშაკის მსგავს განმარტებას[13], აგრეთვე ეს კანონი განსაზღვრავს სოციალური მუშაკის როლს, კერძოდ: შვილების პროცესში სოციალური მუშაკი ადგენს დასკვნას მშვილებლისა და გასაშვილებელი ბავშვის თავსებადობის დასადგენად[14]; სოციალური მუშაკი აფასებს მინდობით აღზრდის მსურველ პირს, რაც არის საფუძველი მისი მინდობით აღმზრდელად რეგისტრაციისთვის[15]; ამზადებს დასკვნას მინდობით აღზრდის შესახებ, რომელშიც

[11]საქართველოს კანონი სოციალური დახმარების შესახებ, 2006 წლის 29 დეკემბერი. მუხლი 4.
[12] საქართველოს კანონი სოციალური დახმარების შესახებ, 2006 წლის 29 დეკემბერი. მუხლი 4
[13] საქართველოს კანონი შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ, 2017 წლის 4 მაისი. მუხლი 3.
[14] საქართველოს კანონი შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ, 2017 წლის 4 მაისი. მუხლი 23.
[15] საქართველოს კანონი შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ, 2017 წლის 4 მაისი. მუხლი 72

აისახება ბავშვის, მისი ბიოლოგიური ოჯახის საჭიროებები და მინდობით აღმზრდელის შესაძლებლობები[16].

ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ საქართველოს კანონის მე–4 მუხლი სოციალური მუშაკის შემდეგ განმარტებას გვთავაზობს: სოციალური მუშაკი – ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებით განსაზღვრული სოციალური მუშაკი[17]; ამ კანონმა მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა 2017 წლის მაისში, როცა საქართველოს პარლამენტმა სტამბულის კონვენციასთან[18] საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაციის მიზნით განიხილა და მიიღო საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებული საკანონმდებლო პაკეტი.

ამავე კანონით განსაზღვრულია სოციალური მუშაკის საკმაოდ მნიშვნელოვანი როლი არასრულწლოვნის მოძალადე მშობლისაგან, სხვა კანონიერი წარმომადგენლისაგან ან არასრულწლოვანთან ფაქტობრივად მყოფი/მცხოვრები სხვა პირისაგან განცალკევების პროცესში[19]. გარდა ამისა, კანონის მიხედვით სოციალური მუშაკის მიერ არასრულწლოვნის განცალკევების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებისადმი დაუმორჩილებლობა იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით[20].

ფსიქიატრიული დახმარების შესახებ კანონის მე–4 მუხლი (ტერმინთა განმარტება) სოციალურ მუშაკს მოიხსენიებს, როგორც ფსიქიატრიის დარგის მუშაკს. კერძოდ, ჩანაწერის მიხედვით, ფსიქიატრიის დარგის მუშაკად ითვლება – ექიმი, ფსიქოლოგი, ექთანი, მომვლელი, სოციალური მუშაკი ან ნებისმიერი სხვა პირი, რომელსაც სპეციალური მომზადებისა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მინიჭებული კვალიფიკაციის საფუძველზე უფლება აქვს, დახმარება გაუწიოს

[16] საქართველოს კანონი შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ, 2017 წლის 4 მაისი. მუხლი 73
[17] ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ საქართელოს კანონი. 2006 წლის 25 მაისი. მუხლი 4.
[18] ევროპის საბჭოს კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა პრევენციის შესახებ
[19] ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ საქართელოს კანონი. 2006 წლის 25 მაისი. მუხლი 14.
[20] ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ საქართელოს კანონი. 2006 წლის 25 მაისი. მუხლი 10.

ფსიქიკური აშლილობის მქონე პირს[21].

პატიმრობის კოდექსი ასევე განსაზღვრავს სოციალური მუშაკის როლს პენიტენციურ სისტემაში. კერძოდ, მსჯავრდებულის რესოციალიზაციას პენიტენციური დაწესებულებები უზრუნველყოფენ სოციალური მუშაკებისა და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სხვა პირების მეშვეობით.[22]

სოციალური მუშაკის როლის თაობაზე ჩანაწერები გვხვდება სხვადასხვა კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებშიც. მაგალითისთვის შეგვიძლია განვიხილოთ შემდეგი აქტები:

საქართველოს მთავრობის დადგენილების მიხედვით, რომლითაც დამტკიცებულია ტექნიკური რეგლამენტი - ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის სტანდარტების შესახებ, მოხსენიებულია სოციალური მუშაკი, როგორც ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის მულტიდისციპლინარული გუნდის წევრი. ამასთან, იქვე განმარტებულია, რომ სოციალური მუშაკი არ არის საბაზისო საექიმო სპეციალობა, იგი ახორციელებს დამხმარე საქმიანობას და მისი ჩატარების უფლება უნდა მიეცეს შესაბამისი დიპლომის მქონე სპეციალისტს ან ფსიქოლოგს, რომელიც გაივლის შესაბამის ტრენინგს[23].

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება, რომლითაც განსაზღვრულია მსჯავრდებულის რისკის სახეები, რისკის შეფასების კრიტერიუმები, რისკის შეფასებისა და გადაფასების წესი, აგრეთვე რისკების შეფასების გუნდის საქმიანობა და უფლებამოსილება, განსაზღვრავს სოციალური მუშაკის როლს მსჯავრდებულის საშიშროების რისკის შეფასების პროცესში, რაც გულისხმობს მსჯავრდებულის შესახებ მონაცემთა პირველად დამუშავებას[24].

ზემოაღნიშნული ნორმატიული აქტების მოკლე მიმოხილვა ცხადად აჩვენებს, თუ რა მნიშვნელოვან როლს ანიჭებს კანონმდებელი სოციალურ მუშაკს. ყველა ის სფერო,

[21] ფსიქიატრიული დახმარების შესახებ კანონი. 2006 წლის 14 ივლისი. მუხლი 4

[22] პატიმრობის კოდექსი. 2010 წლის 9 მარტი. მუხლი 116

[23] საქართველოს მთავრობის N 68 დადგენილება, 2014 წლის 15 იანვარი.

[24] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება №70, მსჯავრდებულის რისკის სახეების, რისკის შეფასების კრიტერიუმების, რისკის შეფასებისა და გადაფასების წესის, მსჯავრდებულის იმავე ან სხვა ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გადაყვანის წესისა და პირობების, აგრეთვე რისკების შეფასების გუნდის საქმიანობისა და უფლებამოსილების განსაზღვრის წესის თაობაზე 2015 წლის 9 ივლისი.

სადაც სოციალური მუშაკია ჩართული, საზოგადოებრივად მნიშვნელოვანია და პროფესიონალიზმისა და პასუხისმგებლობის მაღალ დონეს მოითხოვს. ამ ფონზე, სფეროს ასეთი მწირი რეგულირება, ქმნის რისკს და საფრთხეს ამ სფეროში მოხვდნენ ადამიანები, რომელთა პროფესიონალიზმი და კვალიფიკაცია არ არის შესაფერისი მათზე დაკისრებული მნიშვნელოვანი როლის შესასრულებლად. სწორედ ამიტომ, მიგვაჩნია, რომ აუცილებელია სოციალური მუშაობის პროფესიის კანონით რეგულირება.

პროფესიის რეგულირებაზე საუბრისას, მნიშვნელოვანია, მიმოვიხილოთ, თუ როგორ განსაზღვრავს საქართველოს კანონმდებლობა რეგულირებად პროფესიას და საგანმანათლებლო პროგრამას. **უმაღლესი განათლების შესახებ** საქართველოს კანონის მიხედვით რეგულირებადი პროფესია წარმოადგენს საქმიანობას, რომლის განხორციელების წინაპირობა, შესაბამისი კვალიფიკაციის არსებობის გარდა, არის სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება ან რომლის განსახორციელებლად მოთხოვნილი კვალიფიკაციის მინიჭებისათვის აუცილებელია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი გამოცდის ჩაბარება[25]. ხოლო რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამა წარმოადგენს პროგრამას, რომლისთვისაც სახელმწიფო ადგენს სპეციალურ სააკრედიტაციო მოთხოვნებს ან/და რომლითაც მაგისტრისა და დოქტორის მომზადებას სახელმწიფო უზრუნველყოფს სპეციალური კვლევითი პროგრამების მეშვეობით[26].

რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამა რეგულირდება შესაბამისი სპეციალური კანონმდებლობით. მხოლოდ კანონით შეიძლება დადგინდეს რეგულირებადი პროფესიების ჩამონათვალი, რომლებიც საჭიროებს აკადემიურ უმაღლეს განათლებას და სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარებას ან რომელთა განსახორციელებლად მოთხოვნილი შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებისათვის აუცილებელია სათანადო გამოცდის ჩაბარება[27].

აქვე მნიშვნელოვანია აღინიშნოს ისიც, რომ რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობებს შეიმუშავებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი საქართველოს კანონმდებლობით

[25] უმაღლესი განათლების შესახებ კანონი. 2004 წლის 21 დეკემბერი. მუხლი 2. ჳ2

[26] უმაღლესი განათლების შესახებ კანონი. 2004 წლის 21 დეკემბერი. მუხლი2. ჳ3
[27] უმაღლესი განათლების შესახებ კანონი. 2004 წლის 21 დეკემბერი. მუხლი 76

გათვალისწინებული პროფესიული ასოციაციების მონაწილეობით და დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს. ხოლო თუ შესაბამის დარგში არ არსებობს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პროფესიული ასოციაცია, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობებს შეიმუშავებს დაინტერესებული ორგანიზაციის/ორგანიზაციების და მხარეების მონაწილეობით[28].

<u>სოციალური მუშაობის პროფესიის რეგულირების მოდელი</u>

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, დღეს საქართველოში სოციალური მუშაობის პროფესია არ არის რეგულირებული კანონით. თუმცა ამ პროფესიის როლისა და მნიშვნელობის გათვალისწინებით მსგავსი რეგულირება აუცილებელია. მნიშვნელოვანია განისაზღვროს პროფესიის დეფინიცია და ის მოთხოვნები, რაც აუცილებელია პროფესიაში შესასვლელად. რეგულირების ერთ–ერთ მთავარ მიზანს უნდა წარმოადგენდეს ის, რომ შესაბამისი განათლებისა და კვალიფიკაციის გარეშე შეუძლებელი იყოს ამ სფეროში დასაქმება.

სოციალური მუშაობის პროფესიის რეგულირების კუთხით შესაძლებელია განხილულ იქნეს ორი მოდელი. პირველი მოდელი გულისხმობს ცვლილებებს კანონმდებლობაში, კერძოდ, შესაბამისი სფეროს მარეგულირებელ კანონებსა და კანონქვემდებარე აქტებში. ხოლო მეორე მოდელი გულისხმობს სოციალური მუშაობის თაობაზე ახალი კანონის მიღებას, რომელიც ერთიანად დაარეგულირებს პროფესიასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან ასპექტს.

პირველი მიდგომა, როგორც აღინიშნა, გულისხმობს შესაბამისი ცვლილებების შეტანას სხვადასხვა ნორმატიულ აქტებში. თუმცა ამ მიდგომის ნეგატიური მხარე არის ის, რომ სფეროსთან დაკავშირებული საკითხები გაბნეული იქნება რამდენიმე ნორმატიულ აქტში და სფეროთი დაინტერესებული პირებისთვის სასურველი ინფორმაციის მოძიება რთული იქნება. გარდა ამისა, საქართველოში სოციალური მუშაობა ბევრ სფეროში ჯერ კიდევ განუვითარებელია ან ახლა იკიდებს ფეხს. არსებულ კანონთა მოდიფიცირება კი ვერ მოიცავს ყველა იმ ახალ სფეროს, რომელშიც სავარაუდოდ პროფესია განვითარდება. ამასთან, რთულად წარმოსადგენია, თუ

[28] უმაღლესი განათლების შესახებ კანონი. 2004 წლის 21 დეკემბერი. მუხლი 77

რომელმა აქტმა უნდა დაარეგულიროს სოციალურ მუშაობასთან დაკავშირებული პროფესიაში შესვლისა და კვალიფიკაციის საკითხები. უმაღლესი განათლების შესახებ კანონი საკმაოდ ზოგადი კანონია, ის დეტალურად არ არეგულირებს სხვადასხვა პროფესიისთვის დამახასიათებელ სპეციფიურ საკითხებს. ამ კანონის რეგულირების სფეროა საქართველოში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელების პროცესი, უმაღლესი განათლების მართვისა და დაფინანსების პრინციპები და წესი, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პრინციპები და ა.შ[29] შესაბამისად, ეს კანონი არ არეგულირებს კონკრეტულ პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებს, ის უმაღლესი განათლების სფეროს ზოგადი მომწესრიგებელი აქტია, ამიტომ სოციალურ მუშაობასთან დაკავშირებული საკითხები ვერ მოწესრიგდება ამ აქტით. რაც შეეხება ზემოთ ჩამოთვლილ სხვა საკანონმდებლო აქტებს ვერც ზემოაღნიშნული კანონები დაარეგულირებენ ამ საკითხებს, ვინაიდან მათი რეგულირების სფერო არ არის პროფესიის რეგულირება, არამედ სოციალური მუშაკის როლისა და კონკრეტული ფუნქციის განსაზღვრა თავად ამ კანონის რეგულირების სფეროს მიკუთვნებულ საკითხებზე (შვილად აყვანა, მინდობით აღზრდა, ოჯახში ძალადობა და ა.შ).

შესაბამისად, საკითხის რეგულირების მიზნით შემოთავაზებული საუკეთესო მოდელია ცალკე კანონის მიღება <u>სოციალური მუშაკის შესახებ,</u> რომელიც მოაწესრიგებს სფეროსთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან საკითხს. ეს მიდგომა უფრო კომპლექსურია და იძლევა შესაძლებლობას ფუნდამენტურად მოწესრიგდეს ყველა ის საკითხი, რაც სოციალური მუშაკის პროფესიას უკავშირდება.

აღნიშნული მიდგომის ანალოგად შეგვიძლია მოვიყვანოთ საექიმო საქმიანობის რეგულირების საკითხი, რომელსაც არეგულირებს სპეციალური კანონი. საქართველოს კანონმდებლობა საექიმო საქმიანობის შესახებ შედგება საექიმო საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონისა და ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონისგან[30]. საექიმო საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონის მიზანია უზრუნველყოს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტის შესაბამისი პროფესიული განათლება და პრაქტიკის მომზადება, მის პროფესიულ საქმიანობაზე სათანადო სახელმწიფო ზედამხედველობის დაწესება, მისი უფლებების

[29] უმაღლესი განათლების შესახებ კანონი. 2004 წლის 21 დეკემბერი. მუხლი 1
[30] ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონი 1997 წლის 10 დეკემბერი.

დაცვა, აგრეთვე ქვეყანაში აღიარებული სამედიცინო სტანდარტებისა და ეთიკური ნორმების საექიმო საქმიანობაში დამკვიდრებით საქართველოს მოსახლეობის მაღალკვალიფიციური სამედიცინო მომსახურება[31]. ანალოგიური მიდგომაა მეთევზე-მეზღვაურის საქმიანობის რეგულირების კუთხითაც. კერძოდ, საქართველოს კანონი მეთევზე-მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ ადგენს საქართველოში მეთევზე-მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების ერთიან სისტემას[32]. კანონი არეგულირებს მეთევზე-მეზღვაურთა მომზადების სისტემას, რომელიც მოიცავს პროფესიულ და უმაღლეს საზღვაო განათლებას, ასევე სპეციალიზებულ საზღვაო წვრთნას[33]. განსაზღვრავს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს როლს პროფესიის რეგულირების კუთხით და ასევე სერტიფიცირების საკითხებს.

ზემოაღნიშნულის ანალოგიურად მიზანშეწონილია სოციალური მუშაკის საქმიანობა დარეგულირდეს ცალკე კანონით. აღნიშნულ საკანონმდებლო აქტში უნდა განისაზღვროს პროფესიის რეგულირებასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი საკითხი. რეგულირების ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენ ის, რომ ეს საქმიანობა არ განახორციელოს ისეთმა პირმა, რომელსაც არ აქვს შესაბამისი განათლება და კვალიფიკაცია. სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად კანონმდებლობით უნდა დარეგულირდეს: პროფესიის დეფინიცია, აკადემიური ხარისხის მინიმალური მოთხოვნა და სხვა დამატებითი მოთხოვნები პროფესიაში შესასვლელად, სოციალური მუშაკის როლი და ფუნქციები და სხვა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, კანონის მიზანი იქნება ის, რომ **პრაქტიკოსი სოციალური მუშაკის**[34] თანამდებობაზე დასაქმების უფლებამოსილება არ მოიპოვონ იმ პირებმა, რომელთაც არ აქვთ ფორმალური განათლება სოციალურ მუშაობაში. თუმცა ამ მიზნის მიღწევა კანონის ამოქმედებისთანავე შეუძლებელი იქნება, შრომის ბაზარზე შესაბამისი პროფესიის ადამიანების სიმცირის გამო. შესაბამისად, კანონმა უნდა განსაზღვროს დროებითი, გარდამავალი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც

[31] საექიმო საქმიანობის შესახებ კანონი, 2001 წლის 8 ივნისი. მუხლი 1
[32] საქართველოს კანონი მეთევზე–მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ, 2012 წლის 19 ივნისი.
[33] მუხლი 4
[34] სოციალური მუშაკი, რომელიც უშუალოდ მუშაობს ბენეფიციარებთან მათი ფსიქო–სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით.

გარკვეული პირობებისა და მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში, ფორმალური განათლების არმქონე პირებს ექნებათ შესაძლებლობა იმუშავონ პრაქტიკოს სოციალურ მუშაკად. მნიშვნელოვანია კანონით დეტალურად გაიწეროს გარდამავალი პერიოდის ვადა და პირობები.

კანონმა ასევე უნდა განსაზღვროს, თუ ვინ იქნება პროფესიის რეგულირებაში ჩართული ზედამხედველობის განმახორციელებელი ორგანო; ასევე, რა უფლებამოსილება და კომპეტენციები აქვთ სახელმწიფო უწყებებს და პროფესიულ ასოციაციებს ამ კუთხით.

მნიშვნელოვანია, სოციალური მუშაკის როლისა და უფლებამოსილების სრული და ამომწურავი ჩამონათვალი გაკეთდეს კანონში. აგრეთვე, კანონითვე უნდა განისაზღვროს, რომ ამ უფლებამოსილების სხვა პროფესიის წარმომადგენლებისთვის გადაცემა/შეთავსება დაუშვებელია. აღნიშნულმა ჩანაწერმა უნდა გამორიცხოს სხვა პროფესიის წარმომადგენლების მიერ იმ ფუნქციების შესრულება, რაც კანონით სოციალურ მუშაკს აკისრია.

კანონმდებლობის დონეზე სოციალური მუშაობის რეგულირების საერთაშორისო პრაქტიკა

საინტერესოა მიმოვიხილოთ ევროპის ქვეყნების გამოცდილება ამ მიმართულებით. უნდა აღინიშნოს, რომ ევროპის მრავალ ქვეყანაში (ავსტრია, კვიპროსი, ფინეთი, გერმანია, საბერძნეთი, ისლანდია, ირლანდია, ლუქსემბურგი, მალტა, პოლონეთი, რუმინეთი, სლოვენია და შვეიცარია), სოციალური მუშაობა ითვლება რეგულირებად პროფესიად[35], შესაბამისად ამ ქვეყნებში მოქმედებს ცალკე კანონი რომელიც არეგულირებს პროფესიასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან საკითხს.

გარდა ამისა, ევროპის ქვეყნების დიდ ნაწილში - ავსტრია, ბელგია, ბულგარეთი, კვიპროსი, ჩეხეთი, ფინეთი, გერმანია, საბერძნეთი, ისლანდია, ირლანდია, ლუქსემბურგი, მალტა, ნორვეგია, პოლონეთი, რუმინეთი, სლოვენია, ესპანეთი, შვედეთი, შვეიცარია - სოციალური მუშაობის განათლებასთან და კვალიფიკაციის ამაღლებასთან (social work education and training) დაკავშირებული საკითხები

[35] http://www.academia.edu/2298590/Social_Work_Qualifications_and_Regulation_in_European_Economic_Countries გვ.13

რეგულირდება კანონით[36]. ამასთან, ბევრ ზემოაღნიშნულ ქვეყანაში შექმნილია და ფუნქციონირებს სოციალური მუშაობის პროფესიული ორგანოები[37]. (social work professional bodies). საინტერესოა, თუ სოციალურ მუშაობასთან დაკავშირებული რა საკითხები რეგულირდება სპეციალური კანონით. ამ მიმართულებით საყურადღებოა როგორც ევროპის ქვეყნების გამოცდილება, აგრეთვე სხვა ქვეყნების მიდგომებიც.

მალტა

მალტაში მოქმედებს სოციალური მუშაობის პროფესიული აქტი[38] (Social Work Professional Act, 2003). კანონი გვთავაზობს სოციალური მუშაობისა და სოციალური მუშაკის ცნებებს. გარდა ამისა, კანონი არეგულირებს სოციალური მუშაობის პროფესიაში შესვლის საკითხებს. კერძოდ, აწესებს კრიტერიუმებს და პროცედურას, რომელიც აუცილებელია სოციალური მუშაობის ნებართვის მოსაპოვებლად (warrant to practise as social worker). სოციალურ მუშაკად რეგისტრაციისთვის, სოციალურ მუშაობაში აღიარებული ფორმალური განათლების (recognized degree in social work) გარდა, კანონი ითხოვს პრაქტიკულ გამოცდილებასაც, კერძოდ, რეგისტრირებული სოციალური მუშაკის სუპერვიზიის ქვეშ მუშაობის გამოცდილებას. გარკვეულ გამონაკლის შემთხვევებში შესაძლებელია კანდიდატს მოეთხოვოს პროფესიული ტესტის ჩაბარებაც.

კანონი აგრეთვე არეგულირებს სოციალური მუშაობის პროფესიული საბჭოს (Social Work Professional Board) საქმიანობას, შემადგენლობასა და კომპეტენციას. საბჭოს ფუნქციებში სოციალური მუშაკების რეგისტრაციის გარდა შედის პროფესიის წარმომადგენელთა მიერ დისციპლინური გადაცდომებისა და ეთიკის ნორმების დარღვევაზე რეაგირება. კანონი გვთავაზობს დისციპლინური გადაცდომების ჩამონათვალს და ითვალისწინებს პასუხისმგებლობის სხვადასხვა ფორმებს მათ შორის საყვედურს, ჯარიმას, ზიანის ანაზღაურებას, სოციალური მუშაობის ნებართვის შეჩერებას ან გაუქმებას. კანონი ასევე არეგულირებს

[36] http://www.academia.edu/2298590/Social_Work_Qualifications_and_Regulation_in_European_Economic_Countries გვ.13

[37] http://www.academia.edu/2298590/Social_Work_Qualifications_and_Regulation_in_European_Economic_Countries გვ.13

[38] http://www.justiceservices.gov.mt/DownloadDocument.aspx?app=lom&itemid=8934&l=1

სოციალურ მუშაკთა ასოციაციის ჩამოყალიბებისა და სოციალურ მუშაკთა სამოქალაქო პარტნიორობის შექმნის საკითხებს.

ახალი ზელანდია

ახალ ზელანდიაში მოქმედებს 2003 წელს მიღებული სოციალური მუშაკების რეგისტრაციის აქტი[39] (Social Workers Registration Act, 2003). მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კანონის მიღების მიზანია საზოგადოების წევრების უსაფრთხოების დაცვა და იმ მექანიზმების შექმნა, რომლებიც უზრუნველყოფენ სოციალურ მუშაკთა კომპეტენციას და ანგარიშვალდებულებას. კანონის მიხედვით, იქმნება სოციალურ მუშაკთა რეგისტრაციის საბჭო (Social Workers Registration Board), რომელიც ახდენს სოციალურ მუშაკთა რეგისტრაციას მას შემდეგ რაც შეაფასების შედეგად დაადგენს, რომ პიროვნების კომპეტენცია შესაბამისია მის მიერ სოციალური მუშაობის საქმიანობის განხორციელებასთან (his or her competence to practise social work has been found satisfactory). რაც შეეხება იმ საგანმანათლებლო კვალიფიკაციას (educational qualification), რაც აუცილებელია სოციალურ მუშაკად რეგისტრაციისთის, ამას განსაზღვრავს სოციალურ მუშაკთა რეგისტრაციის საბჭო. საბჭოს უფლება აქვს დროდადრო შეაფასოს რეგისტრირებული სოციალური მუშაკის საქმიანობა და დაადგინოს მისი შესაბამისობა ამ საქმიანობასთან. კანონი დეტალურად განსაზვრავს შესაბამის პროცედურას.

კანონი საკმაოდ ვრცლად არეგულირებს სოციალურ მუშაკთა დისციპლინურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ საკითხებს. კანონით იქმნება საჩივრების განხილვის სპეციალური ტრიბუნალი, რომელიც იხილავს სოციალური მუშაკების მიმართ წარდგენილ საჩივრებს. კანონი დეტალურად განსაზღვრავს საჩივრის განხილვის წესსა და პროცედურას, აგრეთვე სანქციების სახეებსა და გადაწყვეტილების გასაჩივრების წესს.

კანადა, ახალი შოტლანდია (ნოვა სკოტია/Nova Scotia)

კანადის ერთ-ერთ პროვინციაში, ახალ შოტლანდიაში, მოქმედებს სოციალური მუშაობის აქტი (Social Workers Act 1993[40]). აქტი განსაზღვრავს პრაქტიკოსი

[39] http://www.legislation.govt.nz/act/public/2003/0017/latest/DLM189915.html

[40] http://nslegislature.ca/legc/statutes/social%20workers.pdf

სოციალური მუშაკის როლსა და ფუნქციებს, ასევე იმ პროფესიულ სერვისებს რასაც პრაქტიკოსი სოციალური მუშაკი უწევს ბენეფიციარებს. ამ აქტის მიხედვით იქმნება ახალი შოტლანდიის სოციალურ მუშაკთა კოლეჯი, რომელიც არის სოციალურ მუშაკთა პროფესიული გაერთიანება. კოლეჯის ამოცანები შემდეგნაირადაა კანონით განმარტებული, იგი: ემსახურება და იცავს საზოგადოების ინტერესებს, იცავს სოციალურ მუშაკთა პროფესიის ერთიანობას (preserve the integrity of the social-work profession), ინარჩუნებს საზოგადოების ნდობას სოციალური მუშაობის პროფესიის შესაძლებლობაში, თავად არეგულიროს პროფესია.

კოლეჯის შემადგენლობა განისაზღვრება სხვადასხვა სტრუქტურული ორგანოებით, მათ შორისაა, შემფასებელთა საბჭო, რომელიც ახდენს სოციალურ მუშაკთა რეგისტრაციას. იმისათვის, რომ პირი დარეგისტრირდეს სოციალურ მუშაკად, მას უნდა ჰქონდეს უმაღლესი განათლება სოციალურ მუშაობაში, აგრეთვე უნდა ჰქონდეს ორწლიანი (ზოგიერთ შემთხვევაში სამწლიანი) გამოცდილება, რაც საბჭოს აზრით, ჩაითვლება სოციალურ მუშაობაში კომპეტენციის დემონსტრირებად, ჩაბარებული უნდა ჰქონდეს საბჭოს მიერ დადგენილი შესაბამისი გამოცდა.

კანონი დეტალურად არეგულირებს კოლეჯის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის კომპეტენციას პროფესიის რეგულირების საკითხებში. აღსანიშნავია ისიც, რომ კოლეჯის საბჭო, არის მმართველობის მნიშვნელოვანი ორგანო, რომელიც შეიმუშავებს რეგულაციებს, რომლებიც სავალდებულოდ შესასრულებელია რეგისტრირებული სოციალური მუშაკებისთვის.

კანონი საკმაოდ დიდ ადგილს უთმობს სოციალურ მუშაკთა დისციპლინისა და ეთიკის საკითხებს. განსაზღვრავს საჩივრების განხილვის კომიტეტს, რომელიც იხილავს სოციალურ მუშაკთა მიმართ წარდგენილ პრეტენზიებს. აგრეთვე, არეგულირებს სადისციპლინო კომიტეტის როლსა და ფუნქციას, რომელიც საჩივრების განხილვის კომიტეტის მიერ საქმის შესწავლისა და სადისციპლინო კომიტეტისთვის მისი გადაგზავნის შემდეგ აწარმოებს დისციპლინურ განხილვას. კანონი განსაზღვრავს განხილვის დეტალურ პროცედურას და პროცესში ჩართული მხარეების უფლება-მოვალეობებს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ განხილვის შედეგების გათვალისწინებით კანონი აწესებს სანქციის სახეებს, მათ შორისაა ჯარიმა, სოციალური მუშაკის რეგისტრაციის დროებით შეჩერება ან გაუქმება. კანონი ითვალისწინებს სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილების გასაჩივრებას სასამართლოში.

ზემოთ განხილული სამივე მაგალითი ცხადად აჩვენებს, თუ როგორ კომპლექსურად რეგულირდება პროფესიასთან დაკავშირებული საკითხები განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობაში.

რეკომენდაციები

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, რეკომენდირებულია, რომ საქართველომ გაიზიაროს განვითარებული ქვეყნების გამოცდილება და შეიმუშაოს სპეციალური კანონი, რომელიც დაარეგულირებს სოციალური მუშაკის საქმიანობას და პროფესიაში შესვლის საკითხებს.

აქვე გთავაზობთ იმ ძირითადი საკითხების ნუსხას, რაც უნდა დარეგულირდეს სპეციალური კანონით, ესენია:

- სოციალური მუშაობის ცნება და არსი;
- სოციალურ მუშაკთა კომპეტენცია და იმ სფეროების ჩამონათვალი, სადაც ჩართულია სოციალური მუშაკი;
- სოციალური მუშაობის პროფესიაში შესვლის საკითხები – აკადემიური ხარისხის მინიმალური მოთხოვნა და სხვა დამატებითი მოთხოვნები პროფესიაში შესასვლელად;
- პროფესიული რეგულირების საკითხში ჩართული უწყებები და მათი უფლება–მოვალეობები;
- პროფესიული ეთიკის საკითხები და დისციპლინური განხილვის წესი და პროცედურა;
- გარდამავალი დებულებები, რომლებიც დაარეგულირებენ გარდამავალ პერიოდში პროფესიის რეგულირების საკითხებს და ახალ წესზე გადასვლის პროცესს.

პროფესიული რეგულირების კომპონენტებში ჩართული უწყებები

პროფესიული რეგულირების ჩარჩოს შემუშავება და აღსრულება ვერ იქნება მხოლოდ ერთი უწყების პრეროგატივა. აღნიშნული საკითხი მოითხოვს უწყებათაშორის

თანამშრომლობას. ქვემოთ მოცემულია რეგულირების განსხვავებულ კომპონენტებზე პასუხისმგებელი ან მათ გამართვაში ჩართული შემოთავაზებული უწყებები:

- <u>საკვალიფიკაციო გამოცდის შინაარსი და სტრუქტურა</u>: პასუხისმგებელი უწყება უნდა იყოს აკადემია (თსუ და ილიაუნი) შეფასების და გამოცდების ეროვნულ ცენტრთან თანამშრომლობით გამომდინარე იქიდან, რომ საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარებით სისტემა ცდილობს ინდივიდს შეუვსოს აკადემიური ცოდნის ნაკლებობა.

- <u>გამოცდის აღსრულება</u>: შეფასების და გამოცდების ეროვნული ცენტრი (NAEC)

- ინდივიდების <u>დახმარება გამოცდისთვის მომზადებაში</u>:

  - სახელმწიფო უწყებების სასწავლო ცენტრები
  - საჭიროების შემთხვევაში (არასამთავრობო/კერძო სექტორის ან სხვა დაინტერესებული სოციალური მუშაკებისათვის) პროფესიული ასოციაცია

  <u>შენიშვნა:</u> გამოცდის ჩაბარებისათვის ფორმალური მომზადება ნებაყოფლობითია. აღნიშნული სატრენინგო/დამხმარე პროგრამები შემუშავდება დაინტერესებული პირებისათვის.

შემოთავაზებული სქემის მიხედვით პროფესიის რეგულირების დროითი ჩარჩო შემდეგნაირად გამოიყურება:

პროფესიის ბაზისური რეგულირების სქემა და დროითი ჩარჩო

- 2017 წელს დაიწყება სოციალური მუშაობის რეგულირების კონცეფციის შემუშავება, გაცნობა დაინტერესებული მხარეებისათვის, და ლობირება მთავრობასთან.

- 2018 წელს განხორციელდება საკანონმდებლო ცვლილება პრაქტიკოსი სოციალური მუშაკის თანამდებობაზე დასაქმების შესახებ, რომელიც ძალაში შევა 2020 წლიდან.

- 2018 წლიდან პარალელურად მუშაობა დაიწყება საკვალიფიკაციო გამოცდის შემუშავებაზე და გამოცდა მომზადდება 2020 წლისთვის.

- 2020 წლიდან საკანონმდებლო ცვლილების მიხედვით, სოციალური მუშაობის საკვალიფიკაციო გამოცდის მოთხოვნა შეეხება ყველა პრაქტიკოს სოციალურ მუშაკს (ამ თანამდებობაზე დასაქმებულ პირს) განურჩევლად სექტორისა, რომელსაც არ აქვს ფორმალური განათლება სოციალურ მუშაობაში.

- პარალელურად განვითარდება და შემუშავდება სატრენინგო პროგრამები და საგამოცდო მასალები იმ კერძო თუ იურიდიული პირებისთვის, რომლებიც დაინტერესებული იქნებიან გამოცდისთვის მომზადებით.

- 2020 წლიდან შეთავაზებული იქნება საკვალიფიკაციო გამოცდა.

- 2020 წლიდან პრაქტიკოსი სოციალური მუშაკის პოზიციაზე დასაქმებულ ფორმალური განათლების არმქონე პირს თანამდებობის შესანარჩუნებლად მოუწევს საკვალიფიკაციო გამოცდის წარმატებით ჩაბარება.

- 2020 წლიდან ამოქმედებული საკვალიფიკაციო გამოცდის წარმატებით ჩამბარებლებს მიენიჭებათ საკვალიფიკაციო სერთიფიკატი, რაც მომავალში მათ მიანიჭებთ პრაქტიკოს სოციალურ მუშაკად დასაქმების უფლებამოსილებას (უვადოდ).

- გარდამავალი პერიოდის დასრულების შემდეგ ფორმალური განათლების არმქონე პირებს აღარ ექნებათ პრაქტიკოსი სოციალურ მუშაკის პოზიციაზე დასაქმების უფლება, და აღარც საკვალიფიკაციო გამოცდა იმოქმედებს.

6. გამოყენებული წყაროები

ევროპის საბჭოს კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა პრევენციის შესახებ

პატიმრობის კოდექსი. 2010 წლის 9 მარტი

საქართველოს კანონი სოციალური დახმარებების შესახებ
http://www.tbilisi.gov.ge/img/original/2015/7/21/498963503135.pdf

საქართველოს კანონი შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ
http://ssa.gov.ge/files/01_GEO/KANONMDEBLOBA/Sakanonmdeblo/36.pdf

საქართველოს კანონი ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ https://matsne.gov.ge/ka/document/view/26422

საქართველოს კანონი ფსიქიატრიული დახმარების შესახებ
https://matsne.gov.ge/ka/document/view/28492

საქართველოს კანონი მეთევზე–მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ

საქართველოს მთავრობის N 68 დადგენილება, 2014 წლის 15 იანვარი.
საექიმო საქმიანობის შესახებ კანონი

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება №70, მსჯავრდებულის რისკის სახეების, რისკის შეფასების კრიტერიუმების, რისკის შეფასებისა და გადაფასების წესის, მსჯავრდებულის იმავე ან სხვა ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გადაყვანის წესისა და პირობების, აგრეთვე რისკების შეფასების გუნდის საქმიანობისა და უფლებამოსილების განსაზღვრის წესის თაობაზე 2015 წლის 9 ივლისი.

სოციალური მუშაობის სიტუაციური ანალიზი, კვლევის ანგარიში (2011); საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია.

უმაღლესი განათლების შესახებ კანონი. 2004 წლის 21 დეკემბერი

ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ საქართელოს კანონი. 2006 წლის 25 მაისი.

შატბერაშვილი, ნ. & შეყრილაძე, ი. (2014); სოციალური მუშაკის როლი ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში, ანგარიში; მულტიდისციპლინური გუნდური მუშაობის დანერგვა ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისებში - პერსპექტივები საქართველოსთვის; საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის კოალიცია.

შეყრილაძე, ი. (2015); ფსიქიკური ჯანმრთელობის პროფესიული კადრი - ადგილობრივი ტენდენციები, კვლევის ანგარიში; საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია.

ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონი 1997 წლის 10 დეკემბერი.

Hussein, S. (2011); Social Work Qualifications and Regulation in European Economic Area (EEA)

Heubner, G. (2016) Review of Legislation and Policies that Support the Social Service Workforce in Low and Middle Income Countries; Global Social Service Workforce Alliance.

Namitcheishvili, S. (2016); PowerPoint presentation on Practices of Professional Regulation; Georgian Association of Social Workers.

Shatberashvili, N. (2017); PowerPoint presentation on Social Work Professionalization in Georgia; IFSW Europe 2017 Conference in Reykjavik, Iceland.

Shekriladze, I. (2016); PowerPoint presentation on Social Work Professionalization Strategy in Georgia;

Summary of Social Work Status Quo in Georgia (2016); Georgian Association of Social Workers.

http://ifsw.org/policies/definition-of-social-work/

http://ssa.gov.ge/?lang_id=GEO&sec_id=801

http://www.nhsemployers.org/your-workforce/retain-and-improve/standards-and-assurance/professional-regulation

http://en.wikipedia.org/wiki/Qualifications_for_professional_social_work#cite_note-4

Heisler, E.J. & Bagalman, E. (2014); The Mental Health Workforce: A Primer; Congressional Research Service; prepared for members and committees of congress. Retrieved January 25, 2014 from https://www.fas.org/sgp/crs/misc/R43255.pdf

http://www.socialworklicensure.org/articles/social-work-license-requirements.html#states

http://www.acswa.org/acswa/about-clinical-social-work

http://willowtreecounselling.ca/registered-clinical-social-worker/

National Mental Health Workforce Strategy, 2011; Published by the Victorian Government Department of Health, Melbourne, Victoria, on behalf of the Mental Health Workforce

Advisory Committee retrieved from:
health.gov.au/internet/mhsc/publishing.nsf/Content/7AB7430A612FAB6FCA257A5D001B9942/$File/strat.pdf

http://www.aasw.asn.au/practitioner-resources/applying-for-accredited-mental-health-social-worker-status-eligibility-for-medicare-provider-number

http://www.aasw.asn.au/document/item/2058

https://www.aswb.org/licensees/about-licensing-and-regulation/

http://www.socialworklicensure.org/articles/social-work-license-requirements.html

http://www.hpc-uk.org/aboutregistration/regulators/socialwork/

http://www.bls.gov/oes/current/oes211029.htm#nat

https://secure.cihi.ca/free_products/CanadasHealthCareProviders2000to2009AReferenceGuide_EN.pdf

http://www.casw-acts.ca/en/node/21/policy-and-regulations

http://www.academia.edu/2298590/Social_Work_Qualifications_and_Regulation_in_European_Economic_Countries

http://www.justiceservices.gov.mt/DownloadDocument.aspx?app=lom&itemid=8934&l=1

http://www.legislation.govt.nz/act/public/2003/0017/latest/DLM189915.html

http://nslegislature.ca/legc/statutes/social%20workers.pdf